ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4470017

ნომერი: AR1675550

თარიღი : 16.04.2019

გაცემის თარიღი : 23.04.2019

გაცნობის თარიღი : 23.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრის , ჩიხი I , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კვარაცხელია პ/ნ 01015010517
- თბილისი, ოქროყანა, ნიკო ბურის 4

ორგანიზაცია:
- შპს 'სოლიდ დეველოპმენტი' კოდი: 401970417

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული AR1675550 (16/04/2019 წ.) განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: N3176865 (05/04/2017 წ.) გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა, I ჩიხი #7, (ს/კ N01.11.12.018.246) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

N3882392 (30/03/2018 წ.) ბრძანებით შევიდა ცვლილება N3176865 (05/04/2017 წ.) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადატრო
მონაცემები: საკადასტრო კოდი:01.11.12.018.246; განცხადების ნომერი:882017620583 მომზადების თარიღი: 13/07/2017; ფართობი: 2194 კვ.მ.

№3898578 (03.04.2018 წ.) ბრძანებით შევიდა ცვლილება N3176865 (05/04/2017 წ.) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საზოგადოებრივი საზღვარი დაუდგინდა ჩრდილო-დასავლეთით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, საზოგადეობრივი სერვიტუტით დატვირთული, მიწის ნაკვეთიდან (საკადატრი კოდი: 01.11.12.018.245).

№ 3945749 (04/05/2018) ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

განმცხადებელი ითხოვს N3176865 (05/04/2017 წ.) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ნაცვლად, საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) დაფიქსირებას.

საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

კ-1
0,5 * / 0,7
კოეფიციენტი

კ-2
4,6
კოეფიციენტი

კ-3 *
0,2
კოეფიციენტი

საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები

მინიმალური ფართობი
700
კვ.მ

მინიმალური სიგანე
20
მეტრი

მინიმალური სიღრმე
30
მეტრი

შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–

შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

დღევანდელი მდგომარეობით შეიცვალა სამშენებლო მარეგულირებელი ნორმები, მიწის ნაკვეთის განაშენიანების წესები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესები“. ზემოაღნიშნული წესებით განისაზღვრა ძირითადი რეგლამენტები, რომლებიც უზრუნველყოფს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და ამოცანების აღსრულებას.

სივრცით-ტერიტორიული მოწყობისათვის საჭიროა შესაბამისი პროცესების დაგეგმვა, რომელიც მოიცავს საქმიანობას, რომელიც არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, მიწათსარგებლობის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეკრეაციისა და სივრცით-ტერიტორიული პირობების, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებსა და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. აქედან გამომდინარე სამსახური ვალდებულია სრულად დაიცვას და გაითვალისწინოს საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ მნიშვნელოვნად ცვლის მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს, შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნული ცვლილების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაცვლად ცვლილების შეტანისა, საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით და იგივე განაცხადით მოითხოვოთ N3176865 (05/04/2017 წ.) გადაწყვეტილებით დადგენილი სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება N3176865 (05/04/2017 წ.) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ნაცვლად, დააფიქსიროს საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2-ის (სზ-2).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.